საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ61. 6123114001**

თარიღი:**24/04/2023**

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" - ს 26–ე მუხლის პირველი პუნქტის , 35–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე–17 მუხლისმე–2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1. 2023 წლის 26 აპრილს 12 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, პ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. ხონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

მომხსენებელი: ლევან ჩიხლაძე - მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი.

2. ხონის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: მანანა გოფოძე - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

3. ხონის მუნიციპალიტეტში ვ.ბახტაძის ქუჩაზე მდებარე სკვერისთვის გამოჩენილი რეჟისორისა და მსახიობის ნანა მჭედლიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

4. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კობა კუბლაშვილის 2022 წლის გამოუყენებელი კუთვნილი შვებულების შესახებ

მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

5. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩილ საღარაძის კუთვნილი შვებულების შესახებ

მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

6. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო" ს თავმჯდომარის მოადგილის ბაჩანა ბასილაიას სამხედრო სარეზერვო სამსახურის, აქტიური სარეზერვო სამსახურის, ტერიტორიულ რეზერვში წასვლასთან დაკავშირებით უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

7. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ზურაბ მიქაძის სამხედრო სარეზერვო სამსახურის, აქტიური სარეზერვო სამსახურის, ტერიტორიულ რეზერვში წასვლასთან დაკავშირებით უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

8„ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

მომხსენებელი: ვალერი ბახტაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

მუხლი 3 .ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ვალერ ბახტაძე

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე